პროლეტარიანო ყველანი, გაერთიანდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 1 მაისი, 1951 წ. № 102 (8956). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს 1 მაისს — მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი ადმირალი იუმაშევი

★ ★ ★

ბრძანება

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა

№ 54

1951 წლის 1 მაისი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო! ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა არმია მთელ ჩვენს ხალხთან ერთად დღესასწაულობს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს.

საბჭოთა ხალხი პირველ მაისს ხვდება თვალსაჩინო გამარჯვებებით სამეურნეო და კულტურული შენებლობის ყველა დარგში. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმა და მტკიცე რწმენით მივდივართ წინ კომუნისტური შენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ.

თავისი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგული ჩვენი არმია ფხიზლად იცავს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითის შრომას.

ასრულებენ რა დიდი სტალინის მიერ საბჭოთა არმიის წინაშე დასახულ ამოცანებს, ჯარებმა მოიპოვეს ახალი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ვფლობ საბჭოთა არმიის მთელ პირად შემადგენლობას პირველი მაისის დღეს და ვუსურვებ ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს შემდგომ წარმატებებს არმიის მხედრული ოსტატობის სრულყოფაში, დისციპლინის განმტკიცებასა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, პირველ მაისს, ჩვენი საშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი — ოცი საარტილერიო ზალვით.

გაუმარჯოს ჩვენს საშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს შშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი

ბრძანება

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა

№ 35

1951 წლის 1 მაისი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდგომნო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს ჩვენი საშობლოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობს 1 **მაისს** — მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, პირველი მაისის დღესასწაულს ხვდება ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში.

საბჭოთა ადამიანებმა წარმატებით შეასრულეს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა და უდიდესი ენთუზიაზმით ახორციელებენ კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამას.

საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები ფხიზლად იცავენ ჩვენი საშობლოს საზღვაო ზღუდეებს და **1 მაისს** აღნიშნავენ ახალი მიღწევებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდგომნო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

გილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — **პირველ მაისს!** გისურვებთ შემდგომ წარმატებებს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ძლიერების განმტკიცების საქმეში!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს შშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს და მასწავლებელს —ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი ადმირალი იუმაშევი

ლენინ-სტალინის დიადი დროშით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ

ჩვენი ქვეყანა ახალ წარმატებათა ეპოქაში აღნიშნავს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს — პირველ მაისს.

საბჭოთა ადამიანებმა ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლიან ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულეს მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლედის ამოცანები. მეეზოვრეობელი ეთანრება საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობა: განსაკუთრებულ ინტერესებ და მტკიცდება სოციალისტური მოწესრიგება, ამაღლდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე. 1950 წელს სამრეწველო პროდუქცია გამოშვებულია 73 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საერთო მოსავალი 1950 წელს მოღებულ იქნა 345 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1940 წელს. დამახასიათებელია ჩვენი საშობლოს ეკონომიური ძლიერების საფუძველს — ძველ ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება. სოციალისტური სახალხო მეურნეობის ეს წარმატებანი მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიისა და ინიციატივის ფართოდ გაშლის შედეგია.

სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე ეფუძნება ფართოდ მცირდება საბრძოლველი ფასები, ფართოვდება საქონლებრივი, ამაღლდება მშრომელთა მყიდველობითი უნარი.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის სტალინური ზრუნვით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე დაყრდნობით შემოქმედებითი შრომის ნამდვილ სასწაულს ვკეთებენ, მთელ თავის ძალას ახმარს საშობლოს კეთილდღეობის საქმეს.

გამარჯვებული საბჭოთა ხალხი, რომელიც მშრომელთა საერთაშორისოს სოლიდარობის დღეს—პირველ მაისს სოციალისტური შრომეულობის მიღწევებით [illegible] ბრძოლა [illegible] აღნიშნავს, უფრო ფართოდ აჩაღებს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას 1951 წლის ამოცანების შესასრულებლად, კომუნიზმის დიად მშენებლობათა დასაჩქარებლად.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვებანი მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობით, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. პირველი მაისის დღესასწაულს ჩვენი ქვეყნის მშრომელები, ისე როგორც ყოველთვის, ეგებებიან ბოლშევიკური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, მტკიცე ფალდაწყებულებით — მომავალიც არ დაზოგავ ძალებ პარტიის, ამხანაგ სტალინის მითითებათა შესასრულებლად, უფრო მძლავრი და უძლეველი გახადონ ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და ბედნიერების ციტადელი — საბჭოთა კავშირი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თვალსაჩინო სამეურნეო და კულტურული მიღწევებით ეგებებიან. პირველ მაისს საქართველოს მშრომელები. ლენინ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად უმაგალითოდ გაბედნიერდა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო ძალები, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, აყვავდა მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში მტკიცედ დარაზმული საქართველოს მშრომელები მთელ თავიანთ ძალებს აბარებენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

მნიშვნელოვანი მიღწევებით აღნიშნავენ მშრომელთა საერთაშორისოს სოლიდარობის დღეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით, დიდი საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით სურიოზულ გამარჯვებებს აღწევენ სოციალიზმის შენებლობის საქმეში.

პირველ მაისს წელს მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად თავიანთი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით, დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტური ბანაკის შემდგომი განმტკიცებით. დაწყო და წარმატებით მიმდინარეობს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების ბრასპენ მამართვაზე ხელმოწერა. მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანი ბრძვის იმპერიალისტი აგრესორების დანაშაულებრივი გეგმების ჩასაფუშავად, მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლაში მათ ალაფრთოვანებენ დიდი სტალინის სიტყვები: „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას".

მშვიდობის შენარჩუნების, ომის თავიდან აცილების სტალინური პოლიტიკის ბოლომდე ერთგული საბჭოთა ხალხი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით კიდევ უფრო ძლევამოსილს ხდის თავის სოციალისტურ სამშობლოს და ამით განამტკიცებს მშვიდობის ძლიერ ბანაკს.

მთელ მსოფლიოში მძლავრად გაისმის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპარიველმაისო მოწოდებები. ეს მოწოდებანი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს რაზმავენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

დღეს საბჭოთა ადამიანები ახალი ძალით გამოვფლინდნენ. თავიანთ ერთგულ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი დიდი სტალინისადმი, ვისაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებებიდან გამარჯვებისაკენ მიაყავს და ვინც მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედი და დროშაა.

გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, მეზობლებში გამოწურობილ საბჭოთა ხალხს აკავშირებს, ყველა ჩვენი გამარჯვების სტალინისადმიგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება დიდ სტალინს!

ლენინ-სტალინის დიადი დროშით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

შეჯიბრებაში გამარჯვებული უნაგები

ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტმა და ქვანახშირის საგამსლოატაციო უბნებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგები. ბევრმა უბანმა გადაჭარბებით შეასრულა კვარტალური დავალება და გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ქვანახშირი ამოღო.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის საეკეთესო უბნის წოდება და პირველი ჯილდო—30.000 მანეთი მიეკუთვნა ტყვარჩელეფერადნაშრომის ტრესტის ბერიას საბელობის შახტის მეხუთე უბანს, მეორე ჯილდო—22.500 მანეთი ამავე ტრესტის ახიბლარის შახტის პირველ უბანს, მესამე ჯილდო—15.000 მანეთი ამავე შახტის მეორე უბანს.

ფიერიმ აღნიშნა აგრეთვე ტყვარჩელის ბერიას სახელობისა და ეკიბულის სტალინის სახელობის შახტების პირველი უბნების კარგი მუშობა.

მეექვსავლეთა საპირველმაისო მიღწევები

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის ხალმეავლეთ დეპოს კოლექტივმა 12 ფლით ადრე გაანაღდა საპირველმაისო შეჯიბრითი ნაკისრი ეალდებულებანი. ყველა სახის შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რვა ელმავალი, გაზრდილია ელმავლების ტექნიკური სიჩქარე, შემცირებულია შეკეთებაში მათი დგომის დრო. მნიშვნელოვნად გადიდდა ელმავლების სადღეღამისო გარბენი, დაიზოგა ელექტროენერგია, გეგმის გადამეტებით გადაზიდულია მრავალი ათასი ტონა ტვირთი.

მატარებლების შეუფერხებელი ტარებისა და ტვირთზიდვის გეგმის გადატარებით შესრულების საქმეში დაპიონერებს შორის პირველობა მოიპოვეს ს. კველაშვილმა, ვ. ქიქნაძემ, შ. ყანანაძემ, ა. ნადირაშვილმა და ი. მეჯერიშვილმა, მემანქანის თანაშემწეებმა ა. ლაბაძემ, ა. ფონოაძემ, შ. კორკოტაძემ და შ. ფანჩეთაძემ.

ნაკისრ ვალდებულებათა განადგურების საქმეში დაფინორდა ხაოროვლეკ მიველ დეპოც. მეორეოქლაველებმა 25 აპრილისათვის გეგმის გადამეტებით გარეკეტვითი შეკეთებიდან გამოუშვეს შვიდი ორთქლმავალი, გადაიზიდეს ორთქლმავლების ტექნიკური სიჩქარე და დაზოგეს 30 ტონა საწვავი.

ახალი კონსტრუქციის დაზგები

ახალი კონსტრუქციის ნახევრადავტომატური მილსაჭრელი დაზგის წარმოების ათვისებაზე მუშაობენ ობიოლის ქარხნის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში. სამუშაო ნახაზებს ბიხვდეთ ავანელს ფოლად-თუჯის სასხმელო ქარხანაში ტუკე ნიმოსსხს ამ დაზგის დეტალებზე, და ამჟამად კარგად ელი დაზგათმშენებლები მუშაობენ ამ დეტალების მექანიკურ დამუშავებაზე. დაზგის პირველი ეგზემპლარი მზად იქნება მაისში.

უფლოეს პერიოდში იქნე შეუდგებიან ახალი კონსტრუქციის ავტომატური ქუროსაჭრელი დაზგის ათვისებას.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცამეტე ტომი

გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცამეტე ტომი, რომელიც მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცამეტე ტომი შეიცავს 1930 წლის ივლისიდან 1934 წლის იანვრამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტია, ახორციელებს რა სოციალიზმის მთელი ფრონტით გაშლილი შეტევის პოლიტიკას, აღწევს მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფო, კოლექტიური, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა გახდა.

„საბოლოო სიტყვაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო" ი. ბ. სტალინი ამხილებს მემარჯვენე ოპორტუნისტების ლიდერთა ფვალთმაქცურ მოქმედებას. ახასიათებს რა სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს, ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი სოციალიზმის პერიოდში შევიდა. გააკრიტიკა რა ანტიმარქსისტული, ანტილენინური თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ეროვნული ენების კვდომისა და ერთ საერთო ენად მათი შეერთების შესახებ, ი. ბ. სტალინმა დაასაბუთა საპროგრამო დებულება, რომ ეროვნული ენები ერთ საერთო ენად შეერთდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოციალიზმი მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებს.

სიტყვებში „სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ" და „ახალი ვითარება—სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები" ი. ბ. სტალინი ასაბუთებს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების ისტორიულ აუცილებლობას, ცხადყოფს ტექნიკის გადამწყვეტ მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქციის პერიოდში და აყენებს ლოზუნგს: „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას". ი. ბ. სტალინი არკვევს სოციალისტური მრეწველობის განვითარების ახალ პირობებს და სახავს სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში „პირველი ხუთწლედის შედეგები" ი. ბ. სტალინი ცხადყოფს, რომ პირველი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ხუთწლედის შედეგებმა, რომლებიც მიღწეულ იქნა იმ პერიოდში, როცა მთელი კაპიტალისტური სისტემა შერყეული იყო მსოფლიო ეკონომიური კრიზისით, ცხადყვეს საბჭოთა სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობა მეურნეობის დრომოჭმულ კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

ლაპარაკობს რა ძირითად ძალებზე, რომლებმაც უზრუნველყვეს ხუთწლედის გამარჯვება, ი. ბ. სტალინი უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს მუშებისა და კოლმეურნეების მილიონიანი მასების აქტივობასა და თავდადებას, ენთუზიაზმსა და ინიციატივას, რომლებმაც ინჟინერ-ტექნიკურ ძალებთან ერთად კოლოსალური ენერგია განავითარეს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გასაჩაღებლად.

განსაზღვრავს რა პარტიის ძირითად ამოცანებს ხუთწლედის შედეგებთან დაკავშირებით, ი. ბ. სტალინი აღნიშნავს წამლეკთა და დამტაცებელთაგან საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების დაცვის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას და პროლეტარიატის დიქტატურის ყოველმხრივ განმტკიცების აუცილებლობას.

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საკითხებისადმი, სოფლად პარტიული მუშაობის ამოცანებისადმი მიძღვნილია: „სიტყვა სოფლად მუშაობის შესახებ" და „სიტყვა დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე". ამჟღავნებს რა შენიღბული კლასობრივი მტრების ახალ ტაქტიკას სოფლად, ი. ბ. სტალინი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ სიფხიზლე. აჯამებს რა საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგებს, ი. ბ. სტალინი აყენებს ლოზუნგს—გავხადოთ კოლმეურნეობები ბოლშევიკური, ხოლო კოლმეურნეები შეძლებული.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები: წერილი ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის" რედაქციისადმი—„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ" და „პასუხი ოლეხნოვიჩსა და არისტოვისადმი" მიძღვნილია ბოლშევიზმის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი. ამხილებს რა ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტ და ყველა სხვა ფალსიფიკატორებს, ი. ბ. სტალინი მოგვიწოდებს პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლენინიზმი იშვა, გაიზარდა და განმტკიცდა ყველა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში. ი. ბ. სტალინი ტროცკიზმს ახასიათებს როგორც კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმს.

წერილში დემიან ბედნისადმი ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ დემიან ბედნის ზოგიერთი ლექსად დაწერილი ფელეტონი გამსჭვალულია ანტიპატრიოტული ტენდენციებით და ლენინიზმისაგან აშკარა გადახვევას წარმოადგენს. ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის მუშათა კლასმა კაცობრიობას მისცა თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები. ეს რუსეთის მუშებს აღუძრავს რევოლუციური ეროვნული სიამაყის გრძნობას, რომელსაც შეუძლია მთები დაძრას, შეუძლია სასწაულები მოახდინოს. ი. ბ. სტალინი საბჭოთა მწერლებს მოუწოდებს ამაღლდნენ მოწინავე პროლეტარიატის მგოსანთა ამოცანების დონემდე.

„საუბარში გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან" ი. ბ. სტალინი გვაძლევს ისტორიაში პიროვნებისა და ხალხის მასების როლის საკითხის თეორიულ გაშუქებას. ე. ლუდვიგის შეკითხვების პასუხში ი. ბ. სტალინმა განაცხადა, რომ ამოცანა, რომელსაც იგი თავის სიცოცხლეს სწირავს, არის მუშათა კლასის ამაღლება, სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება. სოციალისტური სახელმწიფოს ყოველგვარი განმტკიცება ხელს უწყობს მთელი საერთაშორისო მუშათა კლასის განმტკიცებას.

უცხოელ მოღვაწეებთან მთელ რიგ საუბრებში ი. ბ. სტალინი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას ახასიათებს, როგორც მშვიდობის თანმიმდევრულ პოლიტიკას, ასაბუთებს სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის და მათ შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას.

„საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVII ყრილობისადმი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ" ი. ბ. სტალინი აჯამებს სსრ კავშირში სოციალიზმის დიად გამარჯვებათა შედეგებს, აღნიშნავს ძირეულ გარდაქმნას, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა XVI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში, წარმატებებს სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, რომლებიც მოწმობენ პარტიის გენერალური ხაზის სრულ გამარჯვებას. ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს: პარტია თავის წარმატებებს იმას უნდა უმადლოდეს, რომ იგი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსის, ენგელსის, ლენინის უძლეველი მოძღვრებით. ი. ბ. სტალინი სახავს პარტიის შემდგომი მუშაობის პროგრამას მრეწველობაში, მიწათმოქმედებაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, კულტურისა და მეცნიერების დარგში. ი. ბ. სტალინი აყენებს ორგანიზაციული ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე აყვანის, პარტიის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანას.

ი. ბ. სტალინი ანალიზს უკეთებს მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მოძრაობას, რომელსაც საფუძვლად ედო კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, ცხადყოფს, რომ კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის პირობებში კაპიტალიზმი განიცდის განსაკუთრებული ხასიათის დეპრესიას, რომელსაც არ მოჰყვება მრეწველობის ახალი აღმავლობა და აყვავება. ი. ბ. სტალინი ახასიათებს კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებას და ამ ქვეყნების ურთიერთობის გამწვავებას, იმპერიალისტების მიერ ახალი მსოფლიო ომის მზადებას.

ამხილებს რა ომის გამჩაღებელთა გეგმებს და მეცნიერულად განჭვრეტს რა მოვლენათა შემდგომ განვითარებას, ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი იმპერიალისტებისათვის იქნება ყველაზე საშიში ომი, რომ სსრ კავშირის ხალხები თავდადებით იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვართათვის, რომ ომს მოჰყვება თავდამსხმელთა სრული დამარცხება, რევოლუცია ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში და ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობათა განადგურება. ი. ბ. სტალინი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც მშვიდობის დაცვის პოლიტიკას. ი. ბ. სტალინი გაფრთხილებას იძლევა, რომ საჭიროა განვამტკიცოთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რათა მზად ვიყოთ დავიცვათ იგი იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმისაგან.

მეცამეტე ტომში პირველად ქვეყნდება: ი. ბ. სტალინის წერილები ამხ. შატუნოვსკისადმი, ამხ. ჩ-სადმი, დემიან ბედნისადმი, ამხ. ეტჩინისადმი, ამხ. ი. ნ. ბაჟანოვისადმი; ი. ბ. სტალინის პასუხი რალფ ვ. ბარნესის შეკითხვებზე და პასუხი ბ-ნ ბარნესის წერილზე, საუბარი პოლკოვნიკ რობინსთან. (საქდესი).

დიადი ბრძოლების სახელოვანი ფურცელი

თბილისის მუშათა პირველი რევოლუციური დემონსტრაციის 50 წლისთავი

50 წლის წინათ, 1901 წლის 22 აპრილს (5 მაისს) თბილისის ქუჩებში პირველად მოეწყო მუშათა მძლავრი რევოლუციური დემონსტრაცია. მუშათა ამ გამოსვლას ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი.

პირველი სამაისო გაფიცვები და დემონსტრაციები იმ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებითაც როგორც რუსეთის, ისე საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა კლასის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. ამ გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა აღნიშნეს ცალკეულ საწარმოთა მეპატრონეების წინააღმდეგ ეკონომიური ბრძოლებიდან კაპიტალისტებისა და მემამულეთა წყობილების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლა, ამცნეს „მსოფლიოს, რომ მუშებს კაცობრიობისათვის მოაქვთ გაზაფხული და კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლება, რომ მუშები მოწოდებული არიან განაახლონ მსოფლიო თავისუფლებისა და სოციალიზმის საფუძველზე" (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 233).

როგორც ცნობილია, ლენინის მიერ პეტერბურგში დაარსებული „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი", ხოლო საქართველოში „მესამე დასის" რევოლუციური უმცირესობა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იწყებენ მუშათა მოძრაობის შეერთებას სოციალიზმთან, ამზადებენ მუშებს ცარიზმისა და მემამულეთა წყობილების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მაგრამ ისე, როგორც რუსეთში „ლეგალური მარქსისტები" და „ეკონომისტები", საქართველოში „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობა ყოველმხრივ უშლის ხელს მუშათა კლასის გათვითცნობიერებას, ზღუდავს მას პრაქტიკული ცხოვრებისაგან მოწყვეტილი „თვითგანათლებით".

„რას გასწავლიან თქვენ საკვირაო სკოლაში?", — შეეკითხა ამხანაგი სტალინი ერთ მოწინავე მუშას, რომელიც ქართველი ლეგალური მარქსისტების მიერ მოწყობილ ასეთ წრეში მეცადინეობდა. — „იქ გვასწავლიან, თუ როგორ მოძრაობს მზე..." — უპასუხა მუშამ. — ამხანაგმა სტალინმა გაიღიმა და მუშას უთხრა: „გაიგონე! მზე თავის გზას არ ასცდება. აი შენ ისწავლე, როგორ უნდა მოძრაობდეს რევოლუციური საქმე...".

სწორედ „რევოლუციური საქმისადმი" სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება იყო ის საფუძველი, რომელმაც 1898 წელს არალეგალური პრესის საკითხის გამო, ხოლო 1900 წლის ზაფხულში აშკარა რევოლუციურ ბრძოლაზე გადასვლის საკითხის გამო მწვავე უთანხმოება გამოიწვია „მესამე დასში" — მის ოპორტუნისტულ უმრავლესობასა და რევოლუციურ უმცირესობას შორის. საკითხი ასე იყო დასმული: „საჭიროა საწრეო მუშაობას დავჯერდეთ, თუ მომწიფდა დრო მასობრივ აგიტაციაზე, თვითმპყრობელობასთან აშკარა ბრძოლაზე გადასასვლელად" (ლ. პ. ბერია). „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობა „თვითგანათლების" ძველ თვალსაზრისზე დარჩა, ხოლო რევოლუციური უმცირესობა მოითხოვდა, რათა სოციალ-დემოკრატია „გამოსულიყო წრეების ვიწრო ზღუდეებიდან და თავისი გავლენა გაევრცელებინა მუშათა ფართო მასაზე" (ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 14).

ამხანაგი სტალინი და მისი თანამებრძოლები ლ. კეცხოველი და ა. წულუკიძე მუშაობას აჩაღებენ მუშათა ფართო ფენებში და რაზმავენ მათ რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ.

დიდი როლი შეასრულეს მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარების საქმეში სამაისო დღესასწაულებმა.

მაისობა თბილისში პირველად 1899 წელს აღინიშნა, მეორედ — 1900 წელს. ორივეჯერ ეს დღესასწაული მოეწყო არალეგალურად ქალაქგარეთ (პირველი ღრმაღელეში, მეორე — მლაშე ტბასთან). ამ მაისობათა მონაწილე მუშა იგონებს: „მაისობიდან ვბრუნდებოდით ყოველთვის დარწმუნებულნი ჩვენს მომავალში, აღგზნებულნი იმ დღის წყურვილით, როცა აშკარად გამოვიდოდით საჯაროდ, მოვითხოვდით პოლიტიკურ თავისუფლებას და სოლიდარობას გამოვუცხადებდით ყველა ქვეყნისა და ეროვნების პროლეტარიატს".

ყოველივე ეს მოსამზადებელი საფეხური იყო 1901 წლის მაისობის უფრო დიდი მასშტაბით აღსანიშნავად. თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პარტიულმა ჯგუფმა გადაწყვიტა ეს მაისობა აღნიშნულიყო არა ქალაქგარეთ და არა არალეგალურად, არამედ კავკასიის მეფის ნაცვლის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დაწესებულებათა ცხვირწინ — ქ. თბილისის ცენტრში, აშკარად, ლეგალურად, როგორც ცარიზმისა და მემამულეთა წყობილების წინააღმდეგ მძლავრი პროტესტის მაჩვენებელი.

1901 წლის მაისობის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს გრანდიოზულმა გაფიცვამ, რომელიც მოეწყო ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და პეტერბურგიდან თბილისში გადმოსახლებული მ. ი. კალინინის აქტიური მონაწილეობით. გაფიცვაში 4 ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. მან ჩაიარა ლოზუნგებით: 8-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის მომატება, შრომის პირობების გაუმჯობესება. ეს გაფიცვა საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე რაზმის — თბილისის მუშათა პირველი შეგნებული გამოსვლა იყო. იგი თბილისისა და მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატის პოლიტიკურ სიმწიფეს მოწმობდა.

აგვისტოს გაფიცვის შემდეგ თვითმპყრობელობა გადამწყვეტ ზომებს იღებს თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის აღმოსაჩენად, რომელმაც ეს გაფიცვა მოაწყო. დააპატიმრეს და თბილისიდან გადაასახლეს მ. ი. კალინინი და მთელი რიგი სხვა რევოლუციონერები. „ჟანდარმებმა ქალაქს შეუსიეს რუსეთიდან გამოწერილი ჯაშუშების მთელი ხროვა, — წერდა გაზეთი „ისკრა", — სახელოსნოები და ფაბრიკები პროვოკატორებით აავსეს და მზად იყვნენ ეფიქრათ, რომ უკვე მოსპეს მუშათა მოძრაობის განვითარების ყოველი შესაძლებლობა. მაგრამ მათ მალე მოუხდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ მუშათა მოძრაობა თბილისში გრძელდებოდა „მთელი სიგრძე-სიგანით". („ისკრა" № 12, 1901 წ.).

ამის ნათელი დადასტურება იყო 1901 წლის მაისობა.

1901 წლის აპრილში 1 მაისისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მაისობის დღესასწაულის თბილისის ცენტრში მოწყობის გეგმა ფართოდ განხილულ იქნა ადგილებზე, გაიშალა პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა წრეებში და მოსახლეობაში. მთელი თბილისის მოსახლეობა ეცნობოდა ლენინურ-ისკრულ ლოზუნგებს და ირაზმებოდა მათ გარშემო.

პოლიცია ყველა ზომას იღებს, რათა აღკვეთოს რევოლუციური ლოზუნგების პროპაგანდა. ამიტომ კვლავ მიაქვს იერიში ხელმძღვანელ პარტიულ ჯგუფზე. 1901 წლის 21 მარტს ღამით დააპატიმრეს ამხანაგ სტალინის თანამებრძოლი, ცნობილი რევოლუციონერი ვ. კურნატოვსკი. იმავე ღამით პოლიციამ გაჩხრიკა ფიზიკური ობსერვატორია, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ამხანაგი სტალინი. ამის შემდეგ ამხანაგი სტალინი გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე.

პოლიციის მიერ მიღებული სასტიკი ზომების მიუხედავად, მაისობისათვის მზადება კიდევ უფრო გაძლიერდა. ამხანაგი სტალინი უდიდეს მუშაობას ეწევა დაწყებული საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად. მისი ინიციატივით ხელმძღვანელმა პარტიულმა ჯგუფმა გამოუშვა მთელი რიგი პროკლამაციები.

ერთ-ერთ პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„მთელი რუსეთის მუშებმა გადაწყვიტეს იდღესასწაულონ პირველი მაისი აშკარად — ქალაქის საუკეთესო ქუჩებში. მათ ამაყად განუცხადეს ხელისუფლებას, რომ არ ეშინიათ ყაზახების მათრახებისა და ხმლების, ჟანდარმებისა და პოლიციელების წამების!

მაშ, ჩვენც გავერთიანდეთ, მეგობრებო, რუსეთელ ამხანაგებთან! მივცეთ ხელი ერთმანეთს ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, შევიკრიბოთ ერთად, ავაფრიალოთ წითელი დროშა და ვიდღესასწაულოთ ჩვენი ერთადერთი დღესასწაული — პირველი მაისი!".

1901 წლის სამაისო დემონსტრაციის მონაწილე ძველი მუშა ნ. მაჭარაძე თავის მოგონებაში აღნიშნავს: „დემონსტრაციის წინა დღეს, 21 აპრილს (ძველი სტილით), ჩატარებულ იქნა დემონსტრაციისადმი მიძღვნილი უკანასკნელი თათბირი. თათბირს ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა. ამ თათბირზე ყოველივე ზუსტად იქნა გათვალისწინებული და თვითეულმა ამხანაგმა მიიღო დავალება".

დემონსტრაციის ჩატარების ტექნიკური გეგმა ასეთი იყო: დემონსტრაციის მონაწილენი უნდა შეკრებილიყვნენ „სალდათის ბაზარში", ყოფილი ალექსანდრეს ბაღის რაიონში და იქიდან უნდა გაევლოთ ერევნის (ახლანდელი ბერიას) მოედნისაკენ. აქ დემონსტრანტებს უნდა შეერთებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები და მათთან ერთად გაევლოთ გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე კავკასიის მთავარმართებლის რეზიდენციის წინ.

და აი, გათენდა 22 აპრილის ნათელი, მზიანი დღე. მუშებმა იწყეს „სალდათის ბაზარში" შეგროვება და შემდეგ, დარაზმულნი, დასახული გეგმის მიხედვით გაემართნენ. აი როგორ არის ეს მომენტი მოთხრობილი პოლიციის მასალებში: „წესრიგის დამრღვევებმა ისარგებლეს იქ („სალდათის ბაზარში") საკვირაო ვაჭრობაზე მრავალი ხალხის ჩვეულებრივი დაგროვებით, სათითაოდ, სხვადასხვა გზით, გამყიდველებისა და მყიდველების სახით თავი მოიყარეს საბაზრო მოედანზე. დილის მეთერთმეტე საათზე მათი წრის რამდენიმე კაცმა მანიფესტანტების შეჯგუფებისა და ცნობისმოყვარეთა ყურადღების მიპყრობის მიზნით, დაიწყო ხმაურობა და შემდეგ ერთ გროვაში შეერთებით და აბრეშუმის მატერიისაგან გაკეთებული წითელი ნიშნის აღმართვით დაიძრნენ სალდათის ბაზრით გოლოვინის პროსპექტისაკენ".

დემონსტრაცია სავსებით ისე ვერ მოეწყო, როგორც გეგმით იყო დასახული. თავზარდაცემულმა პოლიციამ კარი ჩაუკეტა სემინარიის მოსწავლეებს და საშუალება არ მისცა მათ დემონსტრანტებს შეერთებოდნენ, მაგრამ ამას დაბნეულობა არ შეუტანია მუშათა რიგებში. ლენინურ-ისკრული ლოზუნგები იმდენად პოპულარული გახდა თბილისის მუშებსა და მოსახლეობას შორის, რომ დემონსტრანტებს ახალი და ახალი ძალები ემატებოდნენ.

დემონსტრაციაში, რომელსაც ამხანაგი სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა, 2 ათასამდე მუშამ მიიღო მონაწილეობა. თბილისის პროლეტარიატმა ამ დემონსტრაციაზე პირველად აღმართა აშკარად წითელი დროშა, მარქსისა და ენგელსის სურათები, რაც მომავალი დიადი ბრძოლების სიმბოლო იყო.

„რა დიდებული წუთი იყო!, — იგონებს დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილე, — ყველა მუშამ ქუდი მოიხადა და მოწიწებით მიესალმა დროშას. გაისმა ერთსულოვანი შეძახილები: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას"... კავკასიის მწვერვალებმა პირველად გაიგონეს თავისუფლების მოთხოვნა და ჭაღარა ყაზბეგმა გაბრწყინებულმა გაიმეორა: „თავისუფლება!" (არალეგალური ბროშურა: „თბილისის მუშათა მოძრაობიდან").

პოლიციამ ბრძოლა გააჩაღა დემონსტრანტებთან, მაგრამ მან იოლად ვერ შეძლო მათი გაფანტვა. რამდენიმე საათს გასტანა თბილისის მუშათა გმირულმა ბრძოლამ პოლიციასთან. ამ ბრძოლის დროს დაიჭრა 14 მუშა და დააპატიმრეს 50-ზე მეტი.

მეფის ოხრანკამ სასტიკად იძია შური დემონსტრაციის მონაწილეებზე, დაარბია და ააწიოკა მუშათა კვარტალები. ამ დემონსტრაციის გამო 1902 წლის ბოლომდე გრძელდებოდა კვლევაძიება. 6 მუშა ციმბირში იქნა გადასახლებული. მუშების გადასახლების დღეს — 1902 წლის 21 ნოემბერს თბილისის მუშებმა კვლავ დიდი დემონსტრაცია მოაწყეს.

მუშათა 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია ქ. თბილისის ცენტრში დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო და მან უდიდესი რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა მთელ კავკასიაზე. ამ დემონსტრაციის შესახებ ლენინური „ისკრა" წერდა: „ის ამბავი, რომელიც კვირას 22 აპრილს (ძველი სტილით) მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა" („ისკრა" № 6, 1901 წ.). სტალინური „ბრძოლა" ამ დემონსტრაციის გამო აღნიშნავდა: „22 აპრილმა ჩვენს მუშებს კიდევ უფრო აშკარად დაანახვა, თუ რა მოსისხლე მტერი ყოფილა მთავრობა მათთვის და ყველაზე უფრო სახელდობრ მათთვის". („ბრძოლა" № 2-3, 1901 წ.).

ეხებოდა რა მასობრივ-პოლიტიკური დემონსტრაციების მნიშვნელობას, ამხანაგი სტალინი გაზეთ „ბრძოლაში" 1901 წელს წერდა: „ის მსხვერპლნი, რომლებსაც დღეს ვწირავთ თავისუფლებას ქუჩის დემონსტრაციებში, გვიბრუნდებიან ერთიასად. ბრძოლაში დაცემული ან ჩვენი ბანაკიდან მოტაცებული თვითეული მებრძოლი იწვევს ასობით ახალ მებრძოლთ. ჯერ არაერთხელ ვიქნებით დამარცხებულნი ქუჩაში, ჯერ არაერთხელ გამოვა მმართველობა ქუჩის ბრძოლიდან გამარჯვებული, მაგრამ ეს გამარჯვება „პიროსის გამარჯვება" იქნება. რამდენიმე ამისთანა გამარჯვება—და აბსოლუტიზმის დამარცხება მზად არის" (ი. სტალინი, თხზ. ტ. 1, გვ. 27).

ამხანაგ სტალინის წინასწარმეტყველური სიტყვები გამართლდა. პროლეტარიატის „რამდენიმე ასეთმა" დამარცხებამ ნიადაგი მოამზადა მისი დიადი გამარჯვებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ დაამხეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, ააშენეს სოციალიზმი და ამჟამად კომუნიზმის დიად შენობას აგებენ.

პოლიტიკური დემონსტრაციების იმ გამოცდილებით, რომელიც რუსეთის მუშათა კლასმა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკების მეთაურობით მოიპოვა, ამჟამად წარმატებით სარგებლობენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები, რომლებიც კომუნისტური პარტიების მეთაურობით სულ უფრო და უფრო გაბედულად იმაღლებენ ხმას ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ლაქია მთავრობების წინააღმდეგ, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

გ. სიხარულიძე

1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. მხატვარი უ. ჯაფარიძე

მაისის დრომა სამგორის ველზე

ელვა ტასსთან, იქ სადაც ახლა
სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა განხორციელდა, 1900 წელს
ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი მაისობა.

ამგორში ბარი დაკვარი,
ბაკვარი ეეეცხლი გაშალა,
ბარმა ძლივს გასჭრა ყამირი,
მიწა ქვასავით გამშრალა.

ასე შემპოდეს ღიმილით
ოაცხაორიანმა ქალებმა,
ალმათ თქვეს ქალაქელია,
ან იცის ბარის ხმარება.

არხს თხრიან, მტვერი ამოდის,
ველზე გროვდება ბორცვებად.
მტვერი არის თუ წინაპრის
ფანატრებული ოცნება?!

ბეგრეკერ მოვიდა მაისი,
მაგრამ დამწვარი ყამირი
ვერ შეეგება გაზაფხულს
ფერად-ფერად ყვავილით.

ველს ბრწყინავს მიწა სამგორის
ალონის ვეფხვების ნატორი,
ეუფუნებს ბელტიელასა
ველება ეესკავტორი!

ეეცხლეფა რაში გვალვისა
აქ ველარ ჩამოიტოლებს.
არხებით სწერენ მინდორზე
ბრინეულ პოეზის სტროფებს.

ამხებდეთ ახლა სამგორი
ორ კარგი სანაბავი.
ველზე მაისის დროშები
ფაფრიფიებად მუკავიან.

არხისთავს დროშა ანთია, —
როგორც მშვიდობის ეფსკარი
და თვალწინ დგება ცხრაასის
მაისი დაუვიწყარი.

ადგმდა მლაშე ტბა მლაშე წყლით —
ცრემლით აესავსე ფიალა,
როცა სტალინმა მაისის
დროშა ცაად აიფრიალა.

ელავდნენ კობის თვალები
ვით ელვის ხმლები ღამეში.
მაისს, მსოფლიოს გარიჟრაგს
ხეგავდნენ ბრძენის თვალებში.

ავდიდნენ წლები... ამ დროშამ
შემოარა ქვეყანა.
ის რუს ეკავა ბრძოლაში,
ის ქართველ მუშას ეკავა.

ამ დროშის უკადავ ნათელით
ბნელს მიაპობდა ქარიელი.
ავფარავდა ომშიც, შრომაშიც
წითლად გაშლილი კალთებით.

ფლეს კიდითკიდე მშვიდობის
მომბრეთა ხელში ფრიალებს,
და ომეფს, რწმენას უნერგავს
ბულმართალ ადამიანებს.

ბაკვარის მაისის დროშებით
სამგორიც გადაბუფულა,
და ალწევს კომეონმამდე
სამგორელების გუგუნი.

იოსებ ნონეშვილი

ახალი ხიდი მტკვარზე მეტეხთან. საქართველოს დედაქალაქის ეს ახალი მშვენება — მეტეხის ხიდი, თბილისელმა მშენებლებმა 6 თებერვალ და 17 დეკემბერ აიგეს. იგი თბილისში ყველა ხიდზე უფრო განიერი, კეთილმოწყობილი და ხიდეკეთილად გაფორმებული. სურათზე: პარჯანი — ახალი ხიდის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი; მარცხნივ — ხიდზე მოძრაობის გახსნის პირველ წუთებში.

ფოტო რ. ალოფოლისა

მშვენიერი საპირველმაისო საჩუქარი თბილისის მშრომელებს

მეტეხის ახალი ხიდის საზეიმო გახსნა

თბილისის ყოველი კუთხიდან მოვიდნენ მშრომელები კვირის, 29 აპრილს, მტკვრისთან მდინარე მტკვარზე ახალი ხიდის სანახავად და მის საზეიმო გახსნაზე დასასწრებლად. ნაშუადღევის 2 საათისათვის ხიდის გვიმა-გვიმოდა ახლად რეკონსტრუირებული მოედნები ხალხით აივსო. ყველანი პატრიოტული სიამაყის გრძნობით თვალიერებდნენ საბჭოთა ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით ნაგებ შესანიშნავ ხიდს.

ხიდის გახსნაზე დასასწრებლად მოვიდნენ ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი, გ. ზამბახიძე, მ. ლელაშვილი, თ. ქველავიძე, გ. ჯიბლაძე, მ. გორგიეზანი, გ. კიკნაძე, ი. ჩიჩინა, ნ. ყვანია, ი. სხირტლაძე, გ. ლეონიძე, პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, პროფესორი კ. ბაეროიეი, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, იმ საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ხიდისათვის ლითონის კონსტრუქციებისა და სხვა დეტალების დამზადებაში, მინისტრები, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მწერლები, პოეტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მეტეხის ახალი ხიდის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საკრებულო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ლელაშვილმა.

— ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოსთან ერთად, — თქვა თავის სიტყვაში ამხ. ლელაშვილმა, — ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დღითიდღე ძლიერდება, მშვენიერდება და ახალი ნაგებობებით მდიდრდება ორდენოსანი საქართველო და მისი განსახლებული დედაქალაქი — თბილისი. მეტეხის ახალი შესანიშნავი ხიდი, რომელიც მისმა სახელოვანმა მშენებლებმა სარკვარდი მოკლე დადაში აიგეს, ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი და თბილისის მშრომელებისადმი მიძღვნილი მშვენიერი საპირველმაისო საჩუქარია.

ამხ. ლელაშვილმა მიულოცა მშენებლებს ხიდის მშენებლობის ბრწყინვალედ დამთავრება.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა თბილისმშენის მთავარმა ინჟინერმა და ახალი ხიდის პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა გ. ჩიმახიძემ. მან აღნიშნა, რომ თბილისმშენის ტრესტის მრავალრიცხოვანი მშენებელი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები მზად არიან ასეთივე წარმატებით შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება, აშენონ ჩვენი დედაქალაქი სწრაფად და კარგად.

ხიდის მოპირკეთებაზე მომუშავეთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ი. შამანიდემ. მან დამსწრეთ უამბო ხიდის მოპირკეთებაზე მომუშავეთა უმაღლესთო შრომითი ენთუზიაზმის შესახებ. თბილისის ლითონსკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივის წარმომადგენელმა ინჟინერმა გ. ფანტულიამ მეტალგზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა ის ერთსულოვნება, რომელიც ამ ქარხნის კოლექტივმა გამოიჩინა ხიდის მშენებელთა დაკვეთების შესრულებაში. თეთრი წყაროს რაიონის იმ კოლმეურნეთა სახელით, რომლებიც ხიდის მოსაპირკეთებელი ქვის დამზადებაზე მუშაობდნენ, სიტყვა წარმოთქვა კ. ლაზარიდემ, ხოლო ხიდზე მომუშავე მეხეტურთმეთა სახელით — ქვის მხატვრული დამუშავების ენობილმა ოსტატმა ელ. აგლაძემ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, რომელმაც მშენებლებს საქართველოს მწერლების სახელით მიულოცა ეს ბრწყინვალე გამარჯვება.

ხიდის მიმღები კომისიის სახელით მეტეხის ახალი ხიდის შემოწმებისა და იღების შესახებ აქტი გამოაქვეყნა მიმღები კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჩიტაიშვილმა. ამით დამთავრდა ხიდის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი, რის შემდეგაც ხიდზე გაიხსნა მოძრაობა.

პირველ მაისს ახალი წარმატებებით შეხვდნენ

პირობა შეასრულეს

— საპირველმაისო საჩუქრად მიუძღვნათ ტრანსპორტს კაპიტალურად შეკეთებული ერთი ზეგენმთი ორთქმავალი — ასეთი პირობა დასაბუთ თბილისის ორთქმავალ-ეაგონშემკეთებელი ქარხნის ამწეთან საამქროში.

აპრილის ბოლო დღეებში საამქროს კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა და თავდადებული შრომით გაანადგა ნაკისრი ვალდებულება. მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით ისახელეს თავი ორთქმავლის ყელისათა შემკეთებელმა ბრიგადამ, რომელსაც წარჩინებული ზეინკალი შ. კაპანაძე ხელმძღვანელობს, ორთქმავლის ცილინდრის შემკეთებელმა ბრიგადამ სტახანოველი ზეინკლის ე. ბედიანიშვილის ხელმძღვანელობით და მერამატერეთა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ი. მამუჩაშვილი), რომლებმაც ორი-ორნახევარი ნორმა გამოიმუშავეს.

ღირსეული საპირველმაისო საჩუქარი მოამზადა სამეზავრო-საკავშირო სამგზავრო კოლექტივმაც. აქ გაგზის გადამეტებით კაპიტალურად შეაკეთეს ერთი სამგზავრო ვაგონი. ვაგონის გამოშეებისათვის განსაკუთრებით ბეჯითად იმუშავეს დურგალთა ბრიგადამ, რომელსაც ა. შაშიაშვილი და ს. ზადიკაშვილი ხელმძღვანელობენ, და ზეინკალთა ბრიგადამ ა. მარკაანიძის ხელმძღვანელობით.

ეითეისეს მოდური ქსოვილის წარმოება

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა აპრილში ათითეს ხელოვნური აბრეშუმის ახალი მოდის ქსოვილი ქსოვილის წარმოება. მას ქსოვენ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ დამზადებულ აბრეშუმსაქსოვ დაზგაზე — „უკრ-49“. თბილისელი ფეიერება ყოველთვიურად 5.000 მეტრ ასეთ ქსოვილს გამოუშვებენ.

დღემდე ფეიერება ქსოვილებს ჩითავენ პრიმიტიული წესით — სპეციალურ მაგიდებზე. ამჟამად აქ მიიღეს ქსოვილების საჩითავი მანქანა, რომელე ოთხკერი გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და ყოველდღიურად მილიონობით ნაგლეგი ფაფრიფიებ ეაიხსნ ბალთაზე ბედადის დიდი სტალინის მოტანებენი.

მონუმენტი კარგად გამოჩნდება ქალაქის ყველა მხრიდან.

სოხუმის ტყე-პარკი ქალაქის მოსახლეობის, კერძოდ ბავშვების, ერთ-ერთი ფავორიტია. ეს ადგილი ფაფრიფიებ ეაიხსნ ბალთაზე ბედადის დიდი სტალინის მოტანებენი.

ბავშვებისა და ბალ-ბალ ეაიხსნ ბალთაზე ბედადის დიდი სტალინის მოტანებენი.

სამგორის მშენებელთა წარმატებანი

ბალოდან მახათის მთის უკანა კალთებზე ბრავალი ათეული კილომეტრის სანიაღლეზე, ზემო სამგორის მაგისტრალური არხის ტბაზე ბრავალ ადგილას ეფილად ელვარებენ ფარჩაზე წარწერილი ლოზუნგები:

— გაემარჯოს 1 მაისს — შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

— სამგორის მორწყვეის განხორციელებით ჩვენი წელილი შეგვეკვა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

ბრავალი გამარჯვებები აღნიშნეს სამგორელმა მშენებლებმა სპირველმაისო ზეიმისათვის ბზადების პერიოდში. ეკონომია მშენებლობაში მათ მიაღწიეს ნესანიშნავ მაჩვენებლებს. საშეალოდ ფლოვანის განმავლობაში თითა დიდ სანრეკებ, რომელ გეოლოგიურ ვითარებაში ისინი ახრხებენ გვრიანის გაყვანას 4 მეტრის სიგრძეზე, გამონაგრეული ქანის გამოზიდვა მიწის ზედაპირზე, ბეტონის ბეტონ გამაგრებას, დახეტონების და საბოლოოდ მიწის ბზაბლებას. ასეთი მაჩვენებელი ეშეითად ჩქარნათ ეაშე, და თუ სამგორში მოიმუშავე ჰიდროეეოგრამშენებლებმა ამას მიაღწიეს, ეს ეიხსნება მათი კარგი დარაზმულობით, ეკონომიშენებლობის ტექნიკის სრულყოფილად ათვისებით, მუშაობის ეაღალი კულის დაეფეტნით.

ეკონომიშენებლობის სპეციალისტები ეფილნშნავენ, რომ მეცირეგაბარიტან ეკონომია დაბეტონების მეკანიზაცია ეაღ სანმეყენებთან ერის დაკავშირებული. ასეთ ეკონომიში მექანიზმების შეტანა და ბეტონაცია, შემდეგ მათი მოსახურება ისე, რომ სხვა სამუშაოთა შესრულებას ხელი არ შეეშალოს, რთული საქმეა. ჰიდროენერგოშენებლებმა ამ მხრივაც ფილ წარმატებას მიაღწიეს. მათ ეკონომიში მოაწყეს მცირე მექანიზაცია, ბეტონის დანაშეფილებისაებრ მიწოდება ტრანსპორტერებით. პირველი ასეთი ცდა მოახდინეს მეხრეოვანის საარხე ეკონომიში, რამაც მეგბეტონეებს დიდად შეუმსუბუქა შრომა და გაუადვილა სწრაფი დამეტონება.

სამგორელი მშენებლები სპირველმაისოდ უკვე შეუდგნენ ლილო-ბარტბანეოს მაგისტრალური არხის გათხრას ფართობების მოსარწყავად, რომელიც ეკავ ეკონომ ბალოდ ზონას და სამგორის უკანა ბზრეს წარმოადგენენ. მძლავრი ტექნიკა ეამოყენებელი ამ არხის ტრასზე და უკვე გაკონიდა არხის კალაპტი სრული პროფილით 9 კილომეტრამდე მანძილზე. სამგორში არხებს გასაპარელად რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან აქ ნამყოფნა კოლმეურნეებმა ეკიან, თუ რას ნიშნავს შედარებით ასეთ მოკლე დროში 9 კილომეტრის მანძილზე არხის კალაპტის გათხრა. მშენებლებმა ამას მიაღწიეს უზარეულ მძლავრი ბიულსაკრელი მექანიზმების დაეფლებით და მათი წარმადობის სრულად გამოყენებით.

ესეც მთა ერთ-ერთი საპირველმაისო მიღწევაა.

მეშთა საცხოვრებელი დაბა, რომელიც თბილისის წყალსაცავის ამ ნაკვეთზე იყო გაშენებული, უკვე გადატანილია ახალ ადგილზე, ლოკინის ხევს გაღმა. მშენებლებიც და მათი ხელმძღვანელნი ახალ სამეშაო ადგილზე გადასახლდნენ, რადგან „ზღვის“ ჩრდილოეთ სანაპიროზე მუშაობა დაამთავრეს. მშენებელთა ეს ჯგუფი, რომელსაც ინჟინერი ე. ხოშტარია ხელმძღვანელობს, უკვე შეუდგა ლოკინის ხევის დიეკერის მშენებლობას. ეს დიეკერი ყველაზე უდიდესი იქნება საქართველოში.

ახლოგდება სამგორის მიწის მასიკითა პირველი მონაკვეთის მორწყვის დაწყების დრო. რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყება თბილისის „ზღვის“ ავსება, დაგროვდება წყლის ისეთი მარაგი, რომ შესაძლებელი იქნება სარწყავ ქსელში მისი გაშვება. ამ ქსელს უნდა ეფოლოს მოდმეიე მომსახურე პერსონალი.

სამგორის სარწყავი სისტემის ქსელთა მომსახურე პერსონალისათვის უკვე დაწყებულია საცხოვრებელი უბნების გაშენება. წელს ასეთი საცხოვრებელი უბნები უნდა გაშენდეს თბილისის წყალსაცავის სამხრეთ სანაპიროზე, ორხევის და მთელ რიგ სხვა ადგილებში.

თბილისის წყალსაცავის სამხრეთ სანაპიროსთან, სადაც ამჟამად მშენებელთა საცხოვრებელი დაბაა, ამ დანიშნულებისათვის შენდება 8 სახლი, ორ-სამოთახიანი კოტეჯები და ორბანი საცხოვრებელი სახლები. დაიწყეს 13 ახალი საცხოვრებელი სახლის აგება ორხევის დაბაშიც. მთელი ეს მშენებლობა უზარეულყოფილია როგორც საშენი მასალებით, ისე მშენებელი მუშებით. მეშთა მუდმივი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას სამგორის ველზე ხელმძღვანელობს ინჟინერი ნიკოლოზ ანთაძე. ამ საცხოვრებელ დაბებში დაწყებულია კანალიზაციის გაყვანა, საკარიდამო ნაკვეთებისა და ეკონომიების კეთილმოწყობა, წყალსადენის და ელექტროშუქის ქსელის მოწყობა.

მისნში სამგორის მშენებლების დიდი სამეშაო აქვთ შესასრულებელი. მშენებელთა კლუბებში სპირველმაისოს ზეიმზე შეკრებილი მშენებლები ეკაკამბენ რა თავიანთ მიღწევებს, სახვეტ ლოზუნგებებს შემდგომ თვეებში უფრო მეტ წარმატებათა მოსაპოვებლად, დარიშეული ვადისათვის თბილისის „ზღვისაკენ“ იერის წყლის გამოშვების უზარეულესაყოფად.

დ. ლომთაძე

კუღზურისა და დასვენების ახალი კერა

დღეს იხსნება ვაკის პარკი

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის შემდგომი გამშვენიერებისათვის. ამ უკანასკნელ ხანს თბილისს შეეტატა მრავალი ახალი კეთილმოწყობილი ეეერა და საცხოვრებელი სახლი, საზოგადოებრივი ნაგებობა.

დიდი ყურადღება ექცევა თბილისის გამწვანებას, პარკების მშენებლობას. ამის დამადასტურებელია თბილისელთა შესანიშნავი საპირველმაისო საჩუქარი — ვაკის ახალი პარკი, რომელიც დღეს გაიხსნება.

ეს პარკი ქალაქის გამწვანების მხრივ ყველაზე დიდი ღონისძიებაა. ქვიან, ხრიოკ ადგილზე, სადაც წინათ ბალახიც კი არ იზრდებოდა, გაშენდა ულამაზესი პარკი, რომლის ფართობი 125 ჰექტარია.

პარკის მშენებლობას დიდი შრომა და ენერგია მოახმარეს თბილისის მშრომელებმა.

ვაკეში ახალი პარკის გასაშენებლად მეშაობა 1946 წელს დაიწყო. საჭირო გახდა კლდეების აფეთქება, ჭაობების ამოსუფთა, ქვიან ნიადაგზე ბალახის ხელოვნური სფარის შექმნა. მაშინვე დაიწყო ხეების დარგვაც.

მომდევნო წლებში მეშაობა უფრო ფართოდ გაიშალა. დაიწყო პარკის დაგეგმვა. გაკაფულ გზები, აშენებდნენ ხეივნებს, ყვავილნარებს, გაზონებს, ოვალდნენ ხელ ახალ და ახალ ხეებს, აწყობდნენ შადრევნებს. ამჟამად პარკში 250 ათას ძირზე მეტი მწვანე ნარგავია. ამ ბაღში მრავალწლიან ცაცხვს, კედარს, ნეკერჩხალს, ფუძას, წიწვიან და დეკორაციულ ხეებს, ნუშს, ვაშლს, მსხალს, ალუბალს, ატამს, სუბტროპიკულ ხურმას, თუთასა და კაკალს. წელს ხეხილი პირველ მოსავალს მოგვცემს.

ახალი პარკი გაშენებულია ვაკეზე და ტერასებად აღის მთის ფერდობებზე ვეს ტბისაკენ, რომლის წყალი გამოყენებული იქნება ხელოვნური ჩანჩქერისათვის.

პარკი კარგად არის განათებული პროჟექტორებით. მთავარ შესასვლელთან მონუმენტური სვეტებზე დადგმულია დიდი ელექტროფანრები. პარკის არქიტექტურული გაფორმების ყველა სამეშაო შესასრულა ტრესტმა „თბილმშენმა“ არქიტექტორ კ. დგებუაძის პროეექტით.

მთავარი შესასვლელი და ანერული მესერი შესასრულა „თბილმშენის“ მორიგ კანტორის (უფროსი ა. ჩკუასელი, მთავარი ინჟინერი ვ. ბალაეაძე) და მობარკეთების სამეშაოთა კანტორის (უფროსი ნ. ბალანჩიეაძე) მშენებლებმა.

სწრაფი ტემპით წარმოიეს ნენაყოფილობით სასპორტო საზოგადოება „მეკინერეების“ ახალი სტადიონის მშენებლობა. სტადიონის ტრიბუნები 40 ათას მაყურებელს დაიტევს.

პირველი მაისიდან ახალი პარკი გახსნილია ქალაქის მშრომელთა დასვენებისათვის.

ხიდი-ქალაქის მნიშვნელოვანი შენაძენი

ახალი ხიდი საჩუქრად

საქართველოს დედაქალაქში თბილისა სხვა მრავალ საპირველმაისო საჩუქართა შორის ახალი ხიდი, რომელიც ეაკეთდა ვაეზნილ შენობის ვეერდით სადგურის ლიანდაგთა თავზე და სადგურის მოედნს უმოკლეს გზით აერთებს საბეჭოს ეეჩისთან.

ახალი ხიდი აგებულია ძველი სადგურეეთ ხიდის ეეერდით. ლენინის რაიონის ზრდასთან დაკავშირებით ძველი ვიწრო ხიდი ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამიტომ ეადაწყეა მისი შეცვლა ახალი კეთილმოწყობილი ხიდით.

ხიდის მშენებლობა შარშან დაიწყო და მშენებელთა კოლექტივის თავდადებული შრომით ვადამდე დამთავრდა. ხიდზე მოძრაობა უკვე გიხსნა.

ძველი რკინის ხიდისაგან განსხვავებით ახალი ხიდი რკინაბეტონისაა, რაც საგრძნობლად შეამცირებს მისი მოვლა-შენახვის ხარჯებს. მისი სიგანე ოთხნახევარი მეტრია. სადგურის მოედნიდან ხიდს აქეს განიერი და ლამაზი კიბე, რომლის მოაჯირი ბაზალტის ქვისაა და დამშვენებულია ჩექეტრონიანი ბალუსტრადებით.

ახალი ხიდი დედაქალაქის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ტყე-პარკი სოხუმის მთაზე

დღეს სოხუმში იხსნება ტყე-პარკი. პარკი გაშენებულია სოხუმის მთაზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 170 მეტრია.

რამდენიმე ხნის წინათ ძეძვითა და ჯაგნარით დაფარული ეს ადგილი ადამიანის თავდადებულმა შრომამ კეთილმოწყობილ პარკად გადაქცია: გაშენებულია ხეივნები და ყვავილნარები, აგებულია პავილიონი-რესტორანი, მშვენე კარვები, ტალავრები.

ტყე-პარკს ამკობენ ცივი წყაროები და შადრევნები.

ეს მთა ქალაქის ნაწილია, იგი ჩრდილოეთიდან დაპყურებს ქალაქს. ამ მთიდან ხელისგულივით მოჩანს სოხუმის ლამაზი პანორამა.

სუფთა და ჯანსაღი ჰაეა სოხუმში, მაგრამ ამ მთის ჰაეას მაინც ვერ გაეტოლებება.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელეყვეს, რომ ადრე ამ მთაზე მოსახლეობა ყოფილა. გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები უძველესი ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლებია. თურქმა ბარბაროსებმა გაკაფეს ტყე, გაშიშვლეს მთა, დაანგრიეს და დასწეს საცხოვრებელი სახლები, ერთთანად მოშალეს წყაროები და ამის შედეგად მთა მიატოვა მოსახლეობამ.

1877 წელს ასევე მოაოხრეს და გაანადგეს თურქებმა ქალაქი სოხუმი.

ქალაქის აღდგენასა და კეთილმოწყობაზე წარსულში არავის უზრუნია. ოცდათორმეტი წლის წინათ, 1919 წელს, ვაზეთი „ნაშე სლოვო“ ქალაქ სოხუმის შესახებ წერდა:

„...სანანპირო ინგრეეა. ნაგსადგურს კატასტროფა მოელის, ყველაფერი ქაოსურ მდგომარეობაშია“...

საბჭოთა ხელისუფლებამ სოხუმი აეეავებენ ბაღნარად, კურორტ ქალაქად გადაკეცია. განსაკუთრებით დიდი მშენებლობა გაჩაღდა ომისშემდგომ წლებში — ქალაქი დამშვენდა ახალი მინუმენტებით, შენობებით, პარკებითა და საკურორტით. ქალაქის მოსახლეობა და საწარმოები უზარეულყოფილია ელექტროენერგიით და კარგი სასმელი წყლით.

ღღითიდღე შენდება და ლამაზდება ქალაქი.

ტყე-პარკის გაშენება ძეირფასი საპირველმაისო სახუქარია სოხუმის მშრომელთათვის. პარკის მშენებლობაში თანაბარი მონდომებით მონაწილეობდნენ აფხაზეთის ყველა რაიონის მშრომელები.

ტყე-პარკი ერთ მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს:

მთის ერთ მაღლობზე გაშენებული რკინა-ბეტონის დიდი შენობა (პავილიონი-რესტორანი) თორმეტკუთხოვანია, გადახურულია თაღისებურად, შემკულია ქართული ორნამენტებით. ეს შენობა მეორე მაღლობს ეერთდება ორმაგი კიბე-ხეივნით. კიბეები ბაზალტის ქვითაა ნაშენი და მათ გაყოლებით ჩამწკრივებულია ელექტრონლამპიონები. ხეივნის ირგვლივ დარგულია 15-20 წლის კედარი, მარაოსებრი პალმები და ვარდები. ხეივნის მშენებლობაზე ენერგიულად იმუშავეს ტრესტ „სოხუმმშენის“ სპეციალისტებმა და სოხუმის რაინონის სოფელ ოდიშის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების წევრებმა ელიზბარ მეშკუდიანმა, ბაელე მისიურაძემ, ჯოტო სურმავამ, სპირიდონ ჩანკვეტაძემ და სხვებმა.

პავილიონ-რესტორანის შენობა მეორე მხრივ ლამაზი და ფართო კიბით ეერთდება მთავარ ავტოტრასას, ხოლო აქედან მთის ფერდობზე კიბის ორივე მხარეს ანკარა წყაროები მოჩუხჩუხებენ. მშენებლობის ამ უბანზე განსაკუთრებით ისახელეს თავი სოხუმის საწარმოთა კოლექტივებმა და ვალის რაინონის კოლმეურნეებმა. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ინეინერები მ. ვაბენია და მ. მიხეილშვილი.

მთის ფერდობებზე მრავლადაა დარგული აგავა, მარადმწვანე კამელია. აქ დარგული ხეები და ყვავილები რიგრიგობით იყვავილებენ მთელი წლის განმავლობაში.

ტყე-პარკი ამჟამად 16 ჰექტარზეა გაშენებული, ხოლო წლის ბოლოდან მისი ფართობი ერთთიერად გადიდდება. მეორე რიგის სამუშაოების დროს განხორციელდება ტყე-პარკის არქიტექტურული კომპოზიციის (ბრიგადების ავტორები არქიტექტორები ი. ცინცაძე, გ. თელია, ლ. მეშკუდიანი) ძირითადი ფდეა — მთის წინა მაღლობზე ეიგება ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მოტანებენი.

ს. ფეშლია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ი. ბ. სტალინის სახელი ეწოდა ბულგარეთის უდიდეს სარწყავ სისტემას

სოფია, 29 აპრილი. (საკდეპი). გუშინ რუსენის ოლქის ტუტრაკანის ოკოლიის სოფელ ბრიშლიანში საზეიმო ვითარებაში ამუშავდა ბულგარეთის ყველაზე დიდი სარწყავი სისტემა —ბრიშლიანის სარწყავი სისტემა.

საზეიმო გახსნას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ათასობით მშენებლებმა, შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობების წევრებმა, დაესწრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები რაიკო დამიანოვი და ტიტკო ჩერნოკოლევი, მინისტრები, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, მშრომელთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები.

ბულგარეთის მინისტრთა საბჭოსა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ რაიკო დამიანოვმა, რომელმაც წაიკითხა მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბრიშლიანის სარწყავი სისტემისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ამ ცნობას მიტინგის ყველა დამსწრე უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. რამდენიმე წუთს გრძელდებოდა ოვაცია ბულგარელი ხალხის უდიდესი მეგობრის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

მიწათმოქმედების მინისტრმა ტიტკო ჩერნოკოლევმა წაიკითხა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება ბრიშლიანის სარწყავი სისტემის იმ მშენებელთა ორდენებით დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმების დეპეშები მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ვილკო ჩერვენკოვს.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 29 აპრილი. (საკდეპი). ეროვნული კრების სხდომა 29 აპრილს მთელ ღამეს გაგრძელდა. კვლავ განიხილავდნენ მთავრობის მიერ შეტანილ კანონპროექტს საარჩევნო რეფორმის შესახებ, რაც უარყოფილ იქნა 27 აპრილს. მას შემდეგ, რაც ეროვნულმა კრებამ უარყო რესპუბლიკის საბჭოს (საფრანგეთის პარლამენტის მეორე პალატა) კანონპროექტი, და მას შემდეგ, რაც მთავრობის კანონპროექტმა ვერ შეაგროვა ხმების კონსტიტუციური უმრავლესობა (311 ხმა), მოსალოდნელი იყო, რომ საფრანგეთში საყოველთაო არჩევნები მოხდებოდა პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის საფუძველზე, რომელიც ამჟამად მოქმედებს.

მაგრამ მთავრობაში წარმოდგენილი პარტიების კოალიცია დაადგა კონსტიტუციის დარღვევის გზას და ცდილობს საფრანგეთს თავს მოახვიოს რეაქციული საარჩევნო სისტემა. კომუნისტი დეპუტატების წინააღმდეგობის მიუხედავად, უარყოფილი კანონპროექტი კვლავ გადაეცა რეგლამენტისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების კომისიას. მას შემდეგ, რაც კომისიამ უმნიშვნელო და წმინდა ფორმალური შესწორებანი შეიტანა კანონპროექტის ტექსტში, გამოცხადდა, რომ იგი კვლავ გადაეცემა განსახილველად ეროვნულ კრებას.

ყველა ამ ფარული მაქინაციის, იურიდიული ხრიკების და რაღაც „პრეცედენტების" შედეგად ეროვნულ კრებას სასწრაფოდ განხილვისათვის წარედგინა მთავრობის პროექტი საარჩევნო კანონისა, როგორც „ახალი" პროექტი. ამჯერად მთავრობამ მიმართა მთავრობის პარტიების დეპუტატებზე პირდაპირ ზემოქმედებას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კვემ სხდომის დასასრულს დააყენა ნდობის საკითხი კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით.

გზა გადავუღობოთ ომს!

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ხალხისადმი

პარიზი, 29 აპრილი. (საკდეპი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პლენუმზე მიიღო მიმართვა ფრანგი ხალხისადმი. მიმართვაში ნათქვამია: იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ საზღაპრო მოგებას და მსოფლიო ბატონობას მოწყურებულ ამერიკელ მილიარდერებს, იმისათვის, რომ მოამზადონ აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც ძირითადი დაბრკოლებაა ასეთი პოლიტიკის გზაზე, საფრანგეთის მმართველნი სისხლით სცლიან ჩვენს ქვეყანას და ხელი აიღეს ყოველგვარ ეროვნულ დამოუკიდებლობაზე. ახალი ოკუპაცია—ამერიკის ჯარების მიერ ოკუპაცია—ამჟამად 55 დეპარტამენტზე ვრცელდება. ვიეტნამის წინააღმდეგ ბინძური ომისათვის, რომლის მიზანია ამერიკის გენერალური შტაბის სტრატეგიული ბაზების განმტკიცება აზიაში, უკვე დაიხარჯა ათას მილიარდზე მეტი და დაიღვარა ზღვა სისხლი. მთავრობა ამზადებს რეგულარული ნაწილების ჯარისკაცთა გაგზავნას ინდო-ჩინეთში, ამისათვის, ხალხის პროტესტის მიუხედავად, შემოიღო სამხედრო სამსახურის ვადა 18 თვე და აპირებს ამ ვადის ორ წლამდე გადიდებას.

საფრანგეთის მთავრობა სისტემატურად უარყოფს საბჭოთა კავშირის ყველა წინადადებას, რომლებიც შეეხება გერმანიის დემილიტარიზაციას, დიდი სახელმწიფოების შეიარაღების შემცირებას კონტროლის დაწესებით, ატომური იარაღის აკრძალვას, აგრეთვე უარყოფს კიდევ უფრო მნიშვნელოვან წინადადებას ომის თავიდან აცილების შესახებ — წინადადებას, რომელიც ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთს და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობის პაქტის დადებას. საფრანგეთის მთავრობამ უარყო საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ინდოეთის ყველა წინადადება, რომ მშვიდობიანად მოწესრიგებულიყო კორეის კონფლიქტი, რომელიც იმპერიალისტებს, პირიქით, სურთ გადააქციონ მესამე მსოფლიო ომად.

იმისათვის, რომ მოამზადონ ომი, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, საჭიროა პირში ბურთი ჩასჩარონ პატიოსან ადამიანებს. აი რატომ სდევნიან საფრანგეთის ხელისუფალნი მშვიდობის მომხრეებს. ამერიკელ მილიარდერთა სამსახურში მყოფი ყველა პარტიის მთავარ საქმიანობად გადაიქცა თავიანთ განმავლობაში ყალთაბანდური მაქინაციები საყოველთაო საარჩევნო უფლების გასაუქმებლად სრულიად უმიგალითო საარჩევნო კანონის საშუალებით.

ამინისტიას აცხადებს რა მოღალატეებისათვის, მთავრობა, სოციალისტი მინისტრების ჩათვლით, ახდენს ფრანკოს რეაბილიტაციას და რუურის კონტროლს უბრუნებს კრუპს.

საფრანგეთის მმართველნი სოციალისტთა ლიდერების მეთაურობით, ნათქვამია მიმართვაში, ამზადებენ ნიადაგს დიქტატორობის კანდიდატის დე გოლისათვის, ადამიანისათვის, რომელსაც სურს ფაშისტური რეჟიმი დაამყაროს საფრანგეთში, რათა აწარმოოს ომი.

მიმართვა აღნიშნავს, თუ რა მძიმეა მდგომარეობა ფრანგი ხალხისა, რომელსაც სტანჯავს სიძვირე, ინფლაცია და უზომო გადასახადები. ეს გადასახადები გაიზარდა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სამხედრო ხარჯების 200 მილიარდიდან 800 მილიარდ ფრანკამდე გადიდების გამო. მუშათა კლასის მდგომარეობა უარესდება „მარშალის გეგმის" განხორციელებასთან ერთად. 200 ოჯახის წევრების გარდა, რომლებსაც ჯიბეს უსქელებს ომისათვის მზადება, ყველა სხვა სოციალური კლასი მტკივნეულად განიცდის საფრანგეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, კულტურის დამონებას ამერიკის ტრესტების ეგოისტური მოთხოვნებისა და სურვილებისადმი.

იმის ერთადერთი საშუალება, რომ ბოლო მოვუღოთ სიღატაკეს, ფაშიზმს, არ დავუშვათ სისხლისღვრა, რომელიც გვემუქრება, ნათქვამია მიმართვაში, არის: დაუყოვნებლივ უარი ვთქვათ ომის პოლიტიკაზე და მივიღოთ მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პოლიტიკა.

ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა:

დაიდოს მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის.

გაუქმდეს ყველა შეთანხმება, რომელიც ზღუდავს საფრანგეთის დამოუკიდებლობას,—მარშალის გეგმა, ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი, „შუმანის გეგმა" და სხვ., და ყველა ქვეყნის ხალხებთან ერთად განხორციელდეს მშვიდობის, მეგობრობისა და საერთო ურთიერთობის პოლიტიკა თანასწორობის საფუძველზე.

განხორციელდეს დიდ სახელმწიფოთა შეიარაღების პროგრესული შემცირება და თავიდან აცილებულ იქნას გერმანიის შეიარაღება.

განახლდეს საფრანგეთისა და სსრ კავშირს შორის კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულება.

დაუყოვნებლივ დაიდოს ზავი ვიეტნამთან და დაბრუნებულ იქნან სამშობლოში იმ საექსპედიციო კორპუსების ჯარისკაცები, რომლებიც კორეასა და ინდო-ჩინეთში მოქმედებენ.

საჭიროა აგრეთვე ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს იმ ხალხებთან, რომლებიც ამჟამად იტანჯებიან ფრანგ იმპერიალისტ კოლონიზატორთა უღლქვეშ.

საფინანსო დარგში საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოგვიწოდებთ მოითხოვოთ:

სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი, სულ ცოტა 400 მილიარდი ფრანკით შემცირება;

ყველა ახალი გადასახადის გაუქმება;

ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადის ლიკვიდაცია, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება მშრომელ მასებს;

ტრესტების ზემოგების დაბეგვრა გადასახადებით.

მხოლოდ იმ პირობით, თუ საფრანგეთი განთავისუფლდება ამერიკელ მილიარდერთა ჩაგვრისაგან, ხაზგასმით აღნიშნულია შემდეგ მიმართვაში, ფრანგი ხალხი შეძლებს გამოიყენოს თავისი ქვეყნის მთელი ნაციონალური სიმდიდრე იმისათვის, რომ აამაღლოს მთელი მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მიმართვა მოუწოდებს ყველა ფრანგს, განურჩევლად სარწმუნოებისა, პოლიტიკური შეხედულებისა და სოციალური წარმოშობისა, გაერთიანდნენ კომპარტიის გარშემო მშვიდობის საქმის გადასარჩენად, მონაწილეობა მიიღონ კომპარტიის ღონისძიებებში მრავალი ათასი საარჩევნო კომიტეტის შესაქმნელად.

გაერთიანდით და იმოქმედეთ, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, იმიტომ, რომ გაერთიანებას და მასობრივ მოქმედებას შეუძლია ნამდვილად შექმნას პირობები გამოლებული შეიარაღების შეწყვეტის ყველა მომხრეთა შორის შეთანხმებისათვის და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, სხვანაირად რომ ითქვას, შეუძლია უზრუნველყოს ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც იქნება არა უცხოეთის მთავრობა, არამედ საფრანგეთისა, ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც იქნება არა ომის ორგანიზატორი, არამედ მშვიდობისათვის მებრძოლი.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთიანობას! გაუმარჯოს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა კავშირს! გაუმარჯოს ყველა იმ ქალთა და მამაკაცთა გაერთიანებას, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გზა გადაუღობონ ომს! გაუმარჯოს მშვიდობას!

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 28 აპრილი. (საკდეპი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობენ გაფართოებულ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან.

ინგლისელ-ამერიკელ აგრესორთა შემოტევა შეჩერებულია მთელ ფრონტზე. სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა ნაწილების აქტიური მოქმედების შედეგად ცალკეულ უბნებზე მტერი უკუგდებულია სამხრეთისაკენ.

ფხენიანი, 29 აპრილი. (საკდეპი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობენ საომარი ოპერაციების გაშლას.

დასავლეთ ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ და მიაღწიეს სეულის ჩრდილოეთით 20 კილომეტრზე მდებარე პუნქტს.

გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის მომწყობი ბერლინის კომიტეტის დაარსება

ბერლინი, 29 აპრილი. (საკდეპი). გუშინ დასავლეთ ბერლინში მშრომელთა კრებაზე არჩეულ იქნა გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის მომწყობი ბერლინის კომიტეტი. კრებას დაესწრნენ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების, თავისუფალ გერმანულ პროფკავშირთა გაერთიანების წევრები და დასავლეთ ბერლინისა და ბერლინის დემოკრატიული სექტორის მუშები, რომლებიც პროფკავშირებში არ არიან გაერთიანებულნი. როგორც ადნ-ის სააგენტო აღნიშნავს, მუშების ყველა დამსწრე წარმომადგენელმა ერთხმად გამოთქვა აზრი გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ. ამ კრებით საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ ბერლინში გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის კამპანიას.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მთელი ბერლინის მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გერმანელმა ხალხმა არ უნდა დაუშვას, რომ მას წაართვან გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის მოწყობის უფლება, თუ გერმანელ ხალხს არ სურს ახალ ომში ჩაბმა იგი და თავს უპატრონოს ამ ომის შედეგები. პირველ მაისს ყველა მშრომელი გამოვა დემონსტრაციაზე მშვიდობის დაცვის ლოზუნგებით.

გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის მომწყობი ბერლინის კომიტეტი მოუწოდებს ბერლინის ყველა მშრომელს დაიცვან მშვიდობა, შექმნან გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის მომწყობი სახალხო კომიტეტები და განაცხადონ პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ იდენაუერის მთავრობამ აკრძალა ხალხის გამოკითხვა.

დააპატიმრეს პაკისტანის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი

კარაჩი, 29 აპრილი. (საკდეპი). როგორც გაზეთი „დოონი" იუწყება, 27 აპრილს ლაჰორში დააპატიმრეს პაკისტანის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი საიდ სიჯად ზახირი.

მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

29 აპრილს გაიმართა ბოტვინიკ-ბრონშტეინის მატჩის მეოცე პარტია.

საბჭოთა ორი გროსმაისტერის უაღრესად საინტერესო შეხვედრა დასასრულს უახლოვდება და ის გვევლინება როგორც მაყურებელთა განცდების, რომლებითაც გაჯერებულია ჩიკოვსკის სახელობის დარბაზი, ისე ბრძოლის ხასიათზეც.

ბრონშტეინმა მატჩის მოგებისათვის დარჩენილ პარტიებში უნდა შეაგროვოს 3,5 ქულა. ამიტომ ბუნებრივია მისი შეუპოვარი მისწრაფება გამარჯვებისაკენ და ამავე დროს სიფრთხილე, რადგან დამარცხების შემთხვევაში იგი პრაქტიკულად კარგავს მსოფლიოს ჩემპიონის წოდების მოპოვების შანსებს.

ცხადია, ამან გამოიწვია ის, რომ მან აირჩია რეტის დებიუტი—რთული სისტემა, რომელიც თეთრებს უნარჩუნებს მათ მინიმალურ უპირატესობას. მალე გაჩაღდა დაძაბული სამანევრო ბრძოლა. ბოტვინიკმა, რომელიც შავებით თამაშობდა, აქტიურად განალაგა თავისი ფიგურები და ლაზიერის ფლანგის პაიკების მოძრაობით შეავიწროვა თეთრების პოზიცია. ამავე დროს ბრონშტეინმა ცენტრში კონტრდარტყმით შეუქმნა თავის მოწინააღმდეგეს იზოლირებული პაიკი.

შემდეგ მოხდა მრავალი ფიგურის გაცვლა, და გროსმაისტერებს დარჩათ ლაზიერი, მხედარი და ექვს-ექვსი პაიკი. მაგრამ, მიუხედავად მატერიალური წონასწორობისა და რესურსების შეზღუდულობისა, ბრძოლა არ შენელებულა. ორივე მხარეს ჰქონდა სუსტი ადგილები, თუმცა ამ სისუსტის გამოყენება ადვილი არ იყო. საკონტროლო სვლამდე პოზიცია ოდნავ შეიცვალა, და მხოლოდ 41-ე სვლაზე ბრონშტეინმა შესთავაზა ლაზიერების გაცვლა, რის შემდეგაც პარტია მხედართა ენდშპილში გადავიდა და დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო.

• • •

გუშინ ყაიმით დამთავრდა ბოტვინიკ-ბრონშტეინის მეოცე პარტია.

მატჩის ანგარიშია 10,5 : 9,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

ფეხბურთი

28 აპრილს რიგის „დაუგავას" ფეხბურთელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების („ვმს") ფეხბურთელები. მატჩი მოიგეს მესპაჟოლებმა ანგარიშით 3:2.

29 აპრილს ერთმანეთს შეხვდნენ სტალინის „შახტიორის" და სამხედრო-საჰაერო ძალების („ვვს") გუნდები.

პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა მიეღწია უპირატესობისათვის. შესვენების შემდეგ დონბასელები გადავიდნენ შეტევაზე და ორი ბურთი გაიტანეს მფრინავთა კარში.

მატჩი დამთავრდა „შახტიორის" გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოსანი", „ამირანი" (საზამთრო და საზაფხულო დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო და საზაფხულო დარბაზი) — „მშვიდობიან დღეებში"; „ოქტომბერი" — „უდანაშაულო დამნაშავენი"; „თბილისი" — „მეზღვაურ გმირობა"; „კომკავშირელი" (საზამთრო დარბაზი)—„დაგვიანებული საღამო", (საზაფხულო დარბაზი)—„ყუბანელი კაზაკები"; „სპარტაკი"—„გიორგი სააკაძე".

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

2 მაისს

6.45 — სუიტა მინკუსის ბალეტ „დონ-კიხოტიდან". 9.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 18.10 — კონცერტი რაჟიოკომიტეტის სოლისტის თამარ ზახტაძის შესრულებით. 18.30—გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.00 — ოპერა „დუბროვსკი". პირველ ანტრაქტში: საუბარი. მეორე ანტრაქტში: — გადაცემა ციკლიდან: „სტალინური პრემიის ლაურეატ მწერლების ახალი წიგნების შესახებ". 24.00—საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

ბრძანება თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

1951 წ. 30 აპრილი

№ 8

ქალაქი თბილისი

1951 წლის 1 მაისს, ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს, ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს არმიის გენერალი ამხ. ანტონოვი.

პარადის სარდალია გენერალ-ლეიტენანტი ამხ. ტარასოვი.

პარადის დასაწყისი 9 საათზე მოსკოვის დროით.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

ტანისამოსის ფორმა საპარადო.

ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 ს. 30 წუთისათვის.

პარადის დროს წესრიგის დაცვისათვის ხელმძღვანელობას ვავალებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ჟუჟიძეს და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსს მე-3 რანგის კომისარს ამხ. მანჯგალაძეს.

თბილისის გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი იუშკევიჩი

თეატრებში

1-ლ მაისს

ოპერისა და ბალეტის — „ევგენი ონეგინი" (მე-7 აბ.); **რუსთაველის სახელობის**—„თბილისელი ქალიშვილი"; **მარჯანიშვილის სახელობის** —„მარინე"; **გრიბოედოვის სახელობის**—„ბრძოლა სიცოცხლისათვის" (1-ლი აბ.); **მუსიკალური კომედიის**—„შეხვედრა აგარაკზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ბედნიერებისაკენ" (84-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„კომბლე" (162-ე აბ. 4 საათზე და 8 ს. და 30 წუთზე); **თოჯინების რუსული**—„თოჯინების პაპა" (2 საათზე), „ერთი გოჯა გოგონა" (4 საათზე).

2 მაისს

ოპერისა და ბალეტის — „ქეთო და კოტე" (მე-10 აბ. საღამოთი), „წითელი ქუდი" (დილით); **რუსთაველის სახელობის**—„პირველი ნაბიჯი" (დილით და საღამოთი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ანტონიოს და კლეოპატრა" (საღამოთი), „მარინე" (დილით); **გრიბოედოვის სახელობის** — „უშზითერ" (25-ე აბ. საღამოთი), „ორი ბანაკი" (მე-13 აბ. დილით); **მუსიკალური კომედიის** — „ბრწყინვალე მომავალი" (საღამოთი), „ჩემი გიუზელი" (დილით); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ბედნიერებისაკენ" (67-ე აბ. 10 საათზე), „მარსელელი ბიჭები" (83-ე აბ. 2 ს. 30 წუთზე, 63-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „სამი მუშკეტერი" (141-ე აბ. 10 საათზე), „კომბლე" (135-ე აბ. 3 საათზე, 163-ე აბ. 7 საათზე); **თოჯინების რუსული** — „მხიარული დათუნიები" (11 საათზე), „წითელქუდა" (1 და 3 საათზე); **სახეცირკო**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

3 მაისს

ოპერისა და ბალეტის—„კარმენი" (მე-12 აბ.); **გრიბოედოვის სახელობის** — „ოტელო" (სომხური თეატრის სპექტაკლი ჰ. ნერსესიანის მონაწილეობით); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ბედნიერებისაკენ" (72-ე აბ. 6 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„კომბლე" (132-ე აბ. 4 საათზე).

ქალა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობაშია

მთელი პროგრესული კაცობრიობა მშვიდობისათვის შეუნელებელი ბრძოლის ვითარებაში აღნიშნავს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელებთან ერთად პირველ მაისს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებული ყველა ქვეყნის მშრომელები.

მშვიდობისა და დემოკრატიის ძალთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ სსრ კავშირის 1946-1950 წლების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შესახებ. ჩვენი ქვეყნის მეგობრებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა ხალხის ამ გამარჯვებას. ჩინეთის გაზეთმა „სინვენქიბაომ" მას მსოფლიოს მთელი დემოკრატიული ბანაკის გამარჯვება უწოდა. „ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, — წერს აღნიშნული გაზეთი,—საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობაში. საბჭოთა ხალხს უფლება აქვს იამაყოს ასეთი გრანდიოზული მიღწევებით".

ჩვენს მტრებს იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა კავშირი თავს ვერ გაართმევდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა არ შესრულდებოდა. მაგრამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა ხუთწლედის დავალება არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შეასრულა. იმედი გაუცრუვდათ ახალი ომის გამჩაღებლებს.

საბჭოთა ხალხის უანგარო დახმარებით განუხრელ აღმავლობას განიცდიან ჩინეთი და პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ბულგარეთი, უნგრეთი და რუმინეთი, ალბანეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მთელი მსოფლიოს მშრომელებს იმიტომ უყვართ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, რომ მან არაერთგზის დაამტკიცა მშვიდობის საქმისადმი ერთგულება. იგი მტკიცედ იცავს ხალხთა შორის მეგობრობას. მისი ზრუნვის საგანია მშრომელთა კეთილდღეობა.

„ზრუნავს რა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, — აღნიშნა ინდოელმა მოღვაწემ ვივეკანანდა მუკხოპადხაიამ, — საბჭოთა კავშირი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ყოველ ღონეს ხმარობს, რათა უზრუნველყოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა მესამე მსოფლიო ომის წარმოშობის მუდმივი საფრთხის წყაროა".

ახალი ომის ორგანიზატორები არიან ამერიკელი და ინგლისელი მონოპოლისტები. ამერიკელ მილიარდერებსა და ინგლისელ მილიონერებს ესაჭიროებათ ომი ახალი მოგებისა და ზემოგების მისაღებად. ისინი გზავნიან კორეაში და მალაიაში ამერიკელ და ინგლისელ ახალგაზრდებს, ნაპალმის ბომბებს აყრიან კორეის მშვიდობიან მოსახლეობას, უდანაშაულო ადამიანთა სისხლს ღვრიან და ხელს ითბობენ უსამართლო ომის ცეცხლზე.

საომარი მზადებიდან აშკარა ომზე გადასვლამ და აზიაში აგრესიულ ღონისძიებათა კატასტროფულმა შედეგებმა საგონებელში ჩააგდო ახალი ომის გამჩაღებლები. კორეის სახალხო არმიის გმირულმა ბრძოლამ და კორეელი ხალხისადმი ჩინელ მოხალისეთა მეგობრულმა დახმარებამ გამოიწვია ამერიკის საგარეო პოლიტიკის კრიზისი.

ახლა, როდესაც აზიის ხალხთა ჯალათი გენერალი მაკარტური უკვე გადაყენებულია და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს აზიის მიმართ თავისი პოლიტიკის წარუმატებლობა მაკარტურს გადააბრალოს, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ გზააბნეული ამერიკელი იმპერიალისტები ეძებენ ჩიხიდან გამოსავალს.

კორეაში კვლავ გრძელდება ფართო მასშტაბის ბრძოლები. მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენებით ამერიკელმა ინტერვენტებმა მოიპოვეს ერთგვარი წარმატება და ბრძოლა გადაიტანეს ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე, მაგრამ კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა მოხალისეებმა უკვე გადააჯგუფეს ძალები და ახლა მოწინააღმდეგეს დიდ ზარალს აყენებენ. კორეის საკითხზე ამხანაგმა სტალინმა ამომწურავი პასუხი გასცა „პრავდის" კორესპონდენტს, როცა აღნიშნა, რომ „თუ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბოლოოდ უარყვეს ჩინეთის სახალხო მთავრობის სამშვიდობო წინადადებანი, ომი კორეაში შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ინტერვენტების დამარცხებით".

კორეის ამბებმა ცხადყვეს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა სოლიდარობას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა მეგობრობას. ცნობილია, რომ ამერიკელ იმპერიალისტებს განზრახული ჰქონდათ კორეაში გამოეყენებინათ ატომური ბომბი. მაგრამ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებამ გზა გადაუღობა ამერიკელ იმპერიალისტებს. სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელი მოაწერა მსოფლიოს 500 მილიონზე მეტმა კაცმა. ეს მრისხანე გაფრთხილება იყო. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა გახდა ის ძალა, რომელმაც ამერიკელ იმპერიალისტებს არ მისცა კორეაში ატომური ბომბის გამოყენების შესაძლებლობა.

ამერიკელი უბრალო ადამიანები ომის წინააღმდეგნი არიან. ისინი მოითხოვენ მშვიდობას, იბრძვიან თავიანთი საარსებო დონის ამაღლებისათვის. მათ ეზიზღებათ უოლსტრიტელი მილიარდერები და სამხედრო მოხელეები, რომელთა შესახებ სამართლიანად აღნიშნა რიგითმა ამერიკელმა ელისაბედ მაკინმა: ისინი რომ გაგვეგზავნა საომარ წინა ხაზზე, მაშინ ომი, უთუოდ, დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ჩვენი ახალგაზრდობა სახლში იქნებოდა.

მძიმეა ამერიკელ უბრალო ადამიანთა ხვედრი. მილიონობით მშრომელი უმუშევარია და მშიერი დაეხეტება ქუჩაში. გაზეთ „ნეიშნლ გარდიანში" გამოქვეყნებული იყო კალიფორნიელი მოქალაქის წერილი. „ჩვენში, — წერდა ეს მოქალაქე, — ათასობით ადამიანი იკვებება სანაგვე ყუთში ჩაყრილი ნარჩენებით. მე პირადად ვიცნობ ამ უბედურთ. ისინი უსახლკარო ძაღლის მდგომარეობაში არიან. ერთი ქალი მივიდა სანაგვე ყუთთან, უნდოდა აეღო ღორის ძვალი, მაგრამ მოულოდნელად დაინახა ძაღლი, რომელიც ძვალს მეორე ბოლოში ჩაეჭიდა და არ უშვებდა. ძაღლმა ქალს ხელზე უკბინა. ქალს შერცხვა ძვლის გამო ჩხუბი, ძვალზე უფლება ძაღლს ეკუთვნოდა, და რადგან ქალს კიდევ შეეძლო სიარული და სხვა სანაგვე ყუთიც იყო, მან ძვალი ძაღლს დაუტოვა".

ასეთია იმპერიალისტური ამერიკა, სადაც ერთი მუჭა მილიარდერები ბატონობენ მილიონებზე. მადაგახსნილ მონოპოლისტებს აღარ ჰყოფნით თავისი ქვეყანა. ისინი მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობენ. ამერიკელი ხალხი კი სულ უფრო რწმუნდება, რომ უაზროა სიკვდილი უოლსტრიტელი ექსპლოატატორების საამებლად, საჭიროა მშრომელთა შეთანხმებული მოქმედება საარსებო დონის ამაღლებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

შეთანხმებული მოქმედების კარგ მაგალითს იძლევიან იტალიის მშრომელები. იტალიაში, სადაც 4 მილიონზე მეტი უმუშევარი და ნაწილობრივ უმუშევარია, ხშირად ეწყობა მუშათა გაფიცვები. მუშათა მოძრაობის ორგანიზატორებად გამოდიან კომუნისტები, სოციალისტური პარტიის წევრები, იტალიის შრომის კონფედერაცია, ქალთა და ახალგაზრდათა ორგანიზაციები. კარგად ორგანიზებული გაფიცვები ხშირად მუშათა გამარჯვებით მთავრდება. ცნობილია, მაგალითად, რომ მილანის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა აიძულეს მეწარმენი გაეუმჯობესებინათ შრომის პირობები. გაბედულად მოქმედებენ იტალიელი გლეხებიც. ისინი იკავებენ მემამულეთა დაუმუშავებელ მიწებს. იტალიელ მშრომელთა დარაზმულობას ისიც მოწმობს, რომ სტოკჰოლმის მოწოდებას იქ 17 მილიონმა კაცმა მოაწერა ხელი.

სადაფიცვო მოძრაობა ფართოვდება საფრანგეთშიც, სადაც 1950 წელს 2 ათასზე მეტი საწარმოს მშრომელებმა აიძულეს მეწარმენი დაეკმაყოფილებინათ მუშათა კანონიერი მოთხოვნები. მიმდინარე წლის იანვარში 4 მილიონზე მეტმა მუშამ ორგანიზებული სადაფიცვო მოძრაობით უზრუნველყო ხელფასის გადიდება საშუალოდ 10 პროცენტით. უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარიზის ავტობუსების პარკისა და მეტროს მუშაკთა გაფიცვა, რომელიც 16 მარტს დაიწყო. გაფიცულთ მხარი დაუჭირეს პარიზის რკინიგზელებმაც. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პარიზის ტრანსპორტს ყოველდღე 5 მილიონი კაცი გადაჰყავს, ცხადი იქნება ამ ტრანსპორტის პარალიზების მნიშვნელობა. 22 მარტს საფრანგეთში უკვე გაფიცული იყო 400.000-ზე მეტი რკინიგზელი. გაფიცულთ მხარი დაუჭირეს სხვა დარგის საწარმოთა მუშებმაც. მთავრობისა და მეწარმეთა ჯიუტობამ ვერ გაუძლო მშრომელთა მტკიცე ნებას. დაკმაყოფილებულ იქნა გაფიცულთა მოთხოვნა ხელფასის საგარანტიო მინიმუმის 11,5 პროცენტით გადიდების შესახებ. ეს ფაქტიც ნათლად მოწმობს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა სოლიდარობას, სადაც არის მშრომელთა სოლიდარობა და შეგნებული ერთიანი მოქმედება, იქ არის წარმატებაც.

მტკიცდება ინგლისელ მშრომელთა სოლიდარობა. ამ დღეებში ინგლისელმა დოკერებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მათ უზრუნველყვეს დაპატიმრებული 7 ორგანიზატორის განთავისუფლება. დოკერებმა განაცხადეს, რომ გაფიცვას არ შეწყვეტენ, სანამ არ გაათავისუფლებენ მათ ხელმძღვანელთ. დოკერებს მხარი დაუჭირეს ინგლისელმა მშრომელებმა. ერთიანმა ფრონტმა და საზოგადოებრივმა აზრმა აიძულა ინგლისელი ხელისუფალნი გაეთავისუფლებინათ პატიმრები. „ამ გამარჯვებამ, — თქვა ინგლისის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა, — ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ როცა მუშები იყენებენ თავიანთ დიდ შესაძლებლობას და აერთიანებენ თავიანთ ძალებს, მათ წარმატებას ხელს ვერაფერი ვერ შეუშლის".

ამჟამად მრავალ ქვეყანაში გაჩაღებულია მუშაობა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შესაგროვებლად. ავსტრიაში ხელმოწერის კამპანიის პირველივე დღეებმა ცხადყო მშრომელთა დარაზმულობა. მხოლოდ ორი დღის (15-16 მარტის) განმავლობაში ვენაში ხელმოწერის რიცხვმა ერთიორად გადააჭარბა სტოკჰოლმის მოწოდებაზე მთელი კვირის ხელმოწერის მაჩვენებელს. ბულგარეთში მიმართვაზე ხელმოწერის რიცხვი ახლა უკვე 4 მილიონს აღემატება. მიმართვაზე ხელს აწერენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, ინდოეთის, ავსტრალიის, ირანის, არგენტინის, შვეციისა და სხვა ქვეყნების მშრომელები. ისინი იყენებენ სტოკჰოლმის სესიის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების გამოცდილებას.

მსოფლიოს მშრომელებს შეგნებული აქვთ, რომ მშვიდობა ბრძოლით უნდა იქნას მოპოვებული და რომ ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა სოლიდარობას, შეთანხმებულ ერთიან, შეგნებულ მოქმედებას.

ძალა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობაშია.

აკ. ჩავლეიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 01597